



მესტიის მუნიციპალიტეტის  
მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის  
ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა  
(2023 – 2027 წწ.)

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

ტერმინთა განმარტება

### ნაწილი - I

- 1.1 დაგეგმვის სამართლებრივი საფუძვლები
- 1.2 მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები
- 1.3 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ჩარჩო, მიზანი და დაინტერესებული მხარეები
- 1.4 ნარჩენების მართვის მუნიციპალური მომსახურების განვითარების ძირითადი დინამიკური მაჩვენებლები და არსებული მდგომარეობის მიმოხილვა
- 1.5 სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა
- 1.6 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციები

### ნაწილი - II

- 2.1 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები, მოცულობა და საპროგნოზო მაჩვენებლები
- 2.2 საზოგადოებასთან ურთიერთობა და მონაწილეობის პროცესი

### ნაწილი - III

- 3.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანები

## შესავალი

მუნიციპალური ნარჩენების ხუთწლიანი გეგმა, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „გეგმა“ შემუშავებულია საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13-ე მუხლის საფუძველზე. გეგმის მიზანია, მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის პროცესის ჰარმონიზება, როგორც ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ ისე, ევროპაში არსებულ ნარჩენების მართვის მიდგომებთან. შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება დაკავშირებულია ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან.

გეგმა მოიცავს ხუთწლიან პერიოდს, რომელიც შესაძლოა პერიოდულად განახლდეს. გეგმის შემუშავების პროცესში გამოყენებულა „ლოგიკური ჩარჩო-მიდგომა“, რომელიც ითვალისწინებს არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, გამოწვევების იდენტიფიცირებას ასევე, შესაბამისი მიზნების განსაზღვრასა და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

„ლოგიკური ჩარჩო-მიდგომა“ საშუალებას იძლევა გეგმაში განისაზღვროს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ამოცანები, ამოცანიდან გამომდინარე კი, ვადებში გაწერილი კონკრეტული ღონისძიებები. აღნიშნული მიდგომა ასევე, იძლევა გეგმის შესრულების ზედამხედველობის შესაძლებლობას.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნარჩენების მართვა საკმაოდ რთული პროცესია და მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ სისტემებთან ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. შესაბამისად გეგმის მიზანია, შეიქმნას მყარი საფუძველი მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

### **ტერმინთა განმარტება**

**ნარჩენი** - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;

**საყოფაცხოვრებო ნარჩენები** - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

**მუნიციპალური ნარჩენები** - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;

**სამედიცინო ნარჩენები** - სამედიცინო დაწესებულების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

**პრევენცია** - ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს: ა) ნარჩენების რაოდენობას, (მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით); ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

**ხელახალი გამოყენება** - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

**რეციკლირებადი მასალები** - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, საკვების ნარჩენები, ბადის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

**ნარჩენების შეგროვება** - ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

**წყაროსთან სეპარირებული შეგროვება** - ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

**ნარჩენების ტრანსპორტირება** - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე;

**ნარჩენების გადამტვირთი სადგური** - ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

**დანაგვიანება** - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

**შეგროვების სისტემა** - ნარჩენების შეგროვების სისტემის სხვადასხვა მახასიათებლები, მათ შორის კონტეინერების ტიპი და განლაგება, ნარჩენების შემგროვებელი ტიპი და მარშრუტები, შემგროვებელი ტექნიკის შეკეთება და პრევენციის ღონისძიებები, ასევე შეგროვების სისტემასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა;

**საერთო სარგებლობის კონტეინერები** - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერები, რომლებიც განლაგებულია ქუჩებში მოსახლეობის საერთო სარგებლობისათვის ან/და რამდენიმე ოჯახის საერთო სარგებლობისათვის;

**ნაგავსაყრელის ოპერატორი** - ნაგავსაყრელის მართვაზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

**მომსახურების დაფარვის ზონა** - ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდების ზონის გეოგრაფიული არეალი, ასევე ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიმღები მოსახლეობის ნაწილი (გამოსახული მთლიანი მოსახლეობის პროცენტული წილიდან)

## ნაწილი - I

### 1.1 დაგეგმვის სამართლებრივი საფუძვლები

- ა) საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- ბ) საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“;

### 1.2 მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები:

მესტიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში. ფართობის მიხედვით იგი საქართველოში მხოლოდ დუშეთის მუნიციპალიტეტს ჩამოუვარდება. მისი ფართობი შეადგენს 3044,5კმ<sup>2</sup>-ს. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით შემოსაზღვრავს კავკასიონის მთავარი ღერძულა ქედის მაღალი თხემური ნაწილი, რომელიც მორფოლოგიურად დასავლეთ კავკასიონს განეკუთვნება. ეს მონაკვეთი დაფარულია მყინვარული საფარით. ჩრდილო-დასავლეთით შემოსაზღვრავს კოდორის ქედი, რომელიც ჯვრის წყალსაცავამდე გრძელდება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით, მესტიის მუნიციპალიტეტი შემოსაზღვრულია ძირითადად სვანეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ოდიშის ქედებით, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით თანდათანობით დაბლდება.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზომიერად ნოტიო მთის კლიმატით არის წარმოდგენილი. ჰავის ტიპები მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჰიფსომეტრიულად იცვლება ზომიერად ნოტიო ხეობის ტიპის კლიმატიდან მაღალმთის მკაცრი კლიმატის ჩათვლით. იანვრის საშუალო მინიმალური ტემპერატურა შეადგენს -19,70-ს, რომელიც გავრცელებულია ძირითადად მუნიციპალიტეტის თხემურ არეალებში. იგი კლებულობს -1-00-მდე მდ. ენგურის ხეობის ქვედა ნაწილში. ივლისის საშუალო ტემპერატურა შედარებით მაღალია სოფ. ხაიშსა და დიზს შორის მდ. ენგურის ხეობის ქვედა ნაწილში და შეადგენს 22<sup>o</sup> C – 23<sup>o</sup> C, ხოლო მინიმალურ პარამეტრს აღწევს მუნიციპალიტეტის თხემურ არეალებში სადაც, ტემპერატურა 0<sup>o</sup>C – 5<sup>o</sup> C შორის მერყეობს. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს მუნიციპალიტეტის თხემურ ნაწილებში (2000–2500 მმ. წელიწადში), ხოლო მინიმალური რაოდენობა წარმოდგენილია დაბა მესტიის ქვემოთ მდ. ენგურის მიმართულებით და შეადგენს 800–1000 მმ-ს წელიწადში. ნალექების განაწილებაზე ძირითად გავლენას რელიეფი და მუნიციპალიტეტის ჰიფსომეტრული განვითარება ახდენს.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მდინარე – ენგური. იგი სათავეს სწორედ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იღებს. მისი მარჯვენა შენაკადებია: ჰადიში, წანერი, მესტიაჭალა, დოღრა, ნაკრა,

ნენსკრა (შენაკადებით: დალარი, ცხვანდირი, ლახამულა და დარჩ-ორმელეთი) ხოლო მარცხენა შენაკადებია: ლასილი, ჰარიშურა, ლაჰილი, ხუმფრერი, ქასლეთი და ხაიშურა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს საქართველოს ყველაზე ღრმა და გრძელი ჯვრის წყალსაცავი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში აიგო მდ.ენგურზე და არამარტო ამ მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მთელი საქართველოსათვის ძირითად ენერგეტიკულ პოტენციალს წარმოადგენს.

მესტიის მუნიციპალიტეტის დაახლოებით 70 % ტყიან ლანდშაფტებს უჭირავს. ქედების და მათი განშტოებების თხემური და მიმდებარე ტერიტორიები სუბალპური და ალპური მდელოებითაა წარმოდგენილი. ტყის ჯიშთა შორის მასიური გავრცელებით სარგებლობს მარადმწვანე ჯიშები: ნაძვი და სოჭი. ფრაგმენტების სახით გავრცელებულია ფიჭვნარებიც. მეზოფილურ ჯიშთა შორის აღსანიშნავია: რცხილა, წიფელი, მუხა, ჯაგრცხილა, ნეკერჩხალი. ფრაგმენტალურად გვხვდება არყნარიც. წარმოდგენილია მარადმწვანე ტყეც. ჭყორისა და ბაძგის მონაწილეობით სუბალპურ ზონაში გვხვდება „დეკიანის“ კომპლექსი.

მუნიციპალიტეტში გავრცელებულ ფიტოცენოზებსა და ცხოველთა ჯიშებს შორის უმეტესობა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში.

მესტიის მუნიციპალიტეტის ხეობური ნაწილი წარმოდგენილია სასოფლო დასახლებებით, რომელიც მოიცავს 160 სოფელს და ერთიანდებიან 17 ადმინისტრაციულ ერთეულში: უშგულის, კალის, იფარის, წვირმის, მულახის, დ.მესტიის, ლენჯერის, ლატალის, ბეჩოს, ეცერის, ცხუმარის, ნაკრის, ლახამულას, ფარის, ხაიშის, ჭუბერის და იდლიანის ადმინისტრაციული ერთეულები. მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქის ტიპის დასახლება - დ. მესტია, რომელიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. თითოეული დასახლებული პუნქტიდან მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრამდე ასახულია ცხრილი N1 -ში:

**ცხრილი N1**

N	ტერიტორიული ერთეულის დასახლება	მანძილი დ.მესტიამდე (მოქმედ სატრანსფერო სადგურამდე) km ერთეულში
1	უშგული	47
2	კალა	35
3	იფარი	22

4	წვირმი	19
5	მულახი	10
6	ლენჯერი	3
7	ლატალი	10
8	ბეჩო	19
9	ცხუმარი	21
10	ეცერი	26
11	ფარი	32
12	ლახამულა	37
13	ნაკრა	50
14	ჭუბერი	71
15	იდლიანი	81
16	ხაიში	67

აღსანიშნავია, მცირე დადებითი მიგრაცია მუნიციპალიტეტის იმ დასახლებულ პუნქტებში სადაც, განვითარებულია ან იწყებს განვითარებას ტურიზმის სექტორი. მოსახლეობის რაოდენობა 9,5 ათასს შეადგენს, რომელთაგან ქალი - 49,9% კაცი - 50,1% და ახალგაზრდები - 35%-ია.

ამჟამად, მუნიციპალიტეტში 387 აქტიური ეკონომიკური სუბიექტი ფიქსირდება. ფუნქციონირებს 43 მაღალი ან საშუალო დონის და 600-მდე საოჯახო სასტუმრო; 24 რესტორანი და 45 კაფე-ბარი; მცირე და საშუალო ზომის სამრეწველო საწარმოები; ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოები: 124 სახერხი საამქრო; სასურსათო მაღაზიები, ადგილობრივი ბაზარი, სუვენირების მაღაზიები; ბანკები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები და სხვა.

### 1.3 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ჩარჩო, მიზანი და დაინტერესებული მხარეები

#### ა. გეგმის ჩარჩო

გეგმის ძირითადი ჩარჩო გულისხმობს მესტიის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემის შექმნას და მისი მთავარი მიზანია, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება მიმართული



იყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვისაკენ. გეგმა განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, დახარისხების, გადამუშავებისა და განთავსების მთავარ პრინციპებს.

## **ბ. მიზანი**

- ა) მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემის ფორმირება - მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნა;
- ბ) მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში მომსახურე პერსონალის, კვალიფიკაციის ამაღლება;
- გ) მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ნარჩენების მართვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა სეგმენტის მიერ, მართებული მიდგომების ფორმირება;
- დ) მუნიციპალური ნარჩენების შემცირება.

## **გ. დაინტერესებული მხარეები**

- მოქალაქე;
- ვიზიტორები;
- კერძო სექტორი;
- სამოქალაქო საზოგადოება;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ცენტრალური ხელისუფლება.

### **1.4 ნარჩენების მართვის მუნიციპალური მომსახურების განვითარების ძირითადი დინამიკური მაჩვენებლები და არსებული მდგომარეობის მიმოხილვა**

მესტიის მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N-68 05/06/2013-ით შესყიდული იქნა დ.მესტიის ქუჩების ნაწილისა და ხაიშის ცენტრის დასუფთავების მომსახურება (ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება შეადგენდა -128 000 (ასოცდარვაათასი) ლარს);

- 2014 წელს შეიქმნა ა(ა)იპ „მესტიის დასუფთავება“, რომლის განვითარების პროცესი დინამიურია ამ დრომდე;
- 2015 წლის 16 ივლისს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა N30-ე დადგენილება, რომლის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 5 ოქტომბრის N20-ე დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდევინების წესის შესახებ“. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მოცემული კანონმქვემდებარე აქტის საფუძველზე გადასახდისგან განთავისუფლებული არიან: სოციალურად დაუცველი ოჯახები, პირველი ჯგუფის შშმ პირები, მრავალშვილიანი ოჯახები(ხუთი და მეტი შვილი), ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, რელიგიურ-საკულტო ნაგებობები. ცვლილება შევიდა ასევე მოქმედ დებულებაში, 2022 წლის 25 თებერვალს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N8-ის საფუძველზე. ცვლილების მიზანს მომსახურების ტერიფების კორექცია გახლდათ.
- 2020 წელს დ.მესტიაში აშენდა და კეთილმოეწყო შესაბამისი სამსახურისთვის შენობა (186457.00 ლარი)
- 2021-2022 წლებში შემოიღობა შესაბამისი სამსახურის საქმიანი ეზო და რეზილიტირდა სასაწყობე და ავტოფარეხების ფარები(468630.45ლარი).
- 2022 წელს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტების ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში (ქვეყნიოს მასშტაბით სულ - 23 მუნიციპალიტეტში) დაინერგა „მუნიციპალური ნარჩენების მართვის და ქუჩების დასუფთავების სერვისების სამუშაოს შესრულების მართვის სისტემის ვებ-აპლიკაცია“, რომელიც მოიცავს: ანალიტიკურ, საოპერაციო, რესურსულ და სტრატეგიულ ინდიკატორებს.
- 2022 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტი, ნარჩენების მართვის მიმართულებით პროდუქტიულად თანამშრომლობს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, რომლითაც ამ დრომდე 663 (ექვსასსამოცდასამმა) სოციალურად დაუცველმა პირმა.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ დასუფთავებისა და ნარჩენის შეგროვების მომსახურების ძირითადი მაჩვენებლები, არსებული მდგომარეობით ასახულია ქვემდებარე ცხრილში N2.

**ცხრილი N2**

თარიღი	ქუჩების რაოდენობა	საერთო ფართობი	დასახლებული პუნქტების რაოდენობა	ტექნიკით მომსახურების ხარჯი	თანამშრომელთა რაოდენობა	მოგროვილი ნარჩენის მოცულობა
2022 წ.	27	143633 მ <sup>2</sup>	64 დასახლებული პუნქტი გარდა დ.მესტიისა	397 677 ლარი	89	10 000 მ <sup>3</sup>

მოგროვილი ნარჩენის დროებითი განთავსება ხდება დ. მესტიაში მდებარე, სსიპ მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ ოპერირებად, მყარი მუნიციპალური ნარჩენების გადამტვირთ სადგურზე, რომლიდანაც ნარჩენის გადატანა ხორციელდება რეგიონულ ნაგავსაყრელზე.

2022 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ფლობს შემდეგ ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა შეძენის დინამიკა წლების მიხედვით ასახულია ცხრილში N3.

**ცხრილი N3**

თარიღი	ტექნიკური საშუალების დასახელება	რაოდენობა	ღირებულება	დაფინანსების წყარო
2014წ.	1.ნაგავშემკრები „ISUZU“-ის მარკის 6+1მ <sup>3</sup>	1	100 000ლარი	ადგილობრივი ბიუჯეტი
	2.„ბელარუსი“-ის მარკის ტრაქტორი	1	70 000 ლარი	
	3. მეტალის ურნა 1,1მ <sup>3</sup> მოცულობის	30	28 000 ლარი	

2015წ.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. თვითმცლელი „FORDI“-ის მარკის 4მ<sup>3</sup></li> <li>2. „NISSANI“-ის მარკის პიკაპი</li> <li>3. მეტალის ურნა 1,1მ<sup>3</sup></li> <li>4. პლასტმასის ურნა 0,6 ლ</li> </ol>	<p style="text-align: center;">1 1 16 22</p>	<p style="text-align: center;">16 500 ლარი 28 500 ლარი 12 640 ლარი 2 200 ლარი</p>	ადგილობრივი ბიუჯეტი
2016წ.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. თოვლმწმენდი ტროტუარებისთვის</li> <li>2. სატვირთო „SUZUKI“-ის მარკის 1მ<sup>3</sup></li> <li>3. მეტალის ურნა 1,1მ<sup>3</sup></li> <li>4. პლასტმასის ურნა 240ლ</li> </ol>	<p style="text-align: center;">1 1 24 25</p>	<p style="text-align: center;">8 990 ლარი 8 290 ლარი 16 800 ლარი 5 000 ლარი</p>	ადგილობრივი ბიუჯეტი
2017წ.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. „MERSEDES“-ის მარკის 7+1მ<sup>3</sup> მოცულობის კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა</li> <li>2. „MERSEDES“-ის მარკის 13+1მ<sup>3</sup> მოცულობის კომპაქტორიანი ნაგავმზიდი</li> <li>3. მეტალის ურნა 1,1მ<sup>3</sup></li> </ol>	<p style="text-align: center;">2 1 100</p>	<p style="text-align: center;">652 928 ლარი</p>	მგვ და ადგილობრივი თვითმმართველობა
2018 წ.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. GAZ - კომბინირებული სპეც ტექნიკა (მრეცხავი)</li> <li>2. HOWO - თვითმცლელი</li> <li>3. 240ლ. პლასტმასის ნაგავმემკრები კონტეინერი</li> <li>4. კონტეინერი</li> </ol>	<p style="text-align: center;">1 1 20 15</p>	<p style="text-align: center;">135000 49492 3200 7800</p>	ადგილობრივი ბიუჯეტი
2019 წ.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ექსკავატორ– დამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი) ბორბლიანი ექსკავატორი MST644</li> <li>2. ოთხკუთხედი ნაგვის კონტეინერი ამოსაღები სათლით ტრუბა კვადრატით შვე</li> <li>3. ნაგვის კონტეინერი 240 ლ.</li> </ol>	<p style="text-align: center;">1 20</p>	<p style="text-align: center;">120000 4360</p>	ადგილობრივი ბიუჯეტი

		20	3260	
2020 წ.	1. 1100 ლ. რკინის კონტეინერი	30	29400	ადგილობრივი ბიუჯეტი
	2. 60ლ.კონტეინერი საკიდით	30	4800	
	3. 240ლ. ნაგვის კონტეინერი	30	4245	
	4. LIUGONG CLG842-თვლიანი ტრაქტორი	1		მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
	5. MAN TGX 18.480- უნაგირა საწევარა	1		
	6. ISUZU NPR 85H -სპეციალიზებული	1		
2021 წ.	1. სპეციალიზებული ნახევარმისაბმელი,კოდი NP9SY4LYZDH055127, SAHIN, SY4L	1	113950	აგდილობრივი ბიუჯეტი
2022 წ.	1. 240 ლ. მოცულობის პლასტმასის კონტეინერი	60		შპს საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია
	2.120 ლ. მოცულობის პლასტმასის კონტეინერი	40		
	3.50 ლ მოცულობის პლასტმასის კონტეინერი	21		

**1.5 სხვადასხვა ალტერნატივების მიმოხილვა**

მესტიის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობისა და რელიეფის გათვალისწინებით აგრეთვე, მოსახლეობის როდენობისა და წარმოქმნილი ნარჩენის სავარუდო მოცულობიდან გამომდინარე, მესტიის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების სისტემა უნდა ემყარებოდეს მოსახლეობისთვის დადგენილი გრაფიკით კონტეინერულ მომსახურებას, გარდა

გადაულახავი პირობისა (აქ იგულისხმება ძირითადად მკაცრი კლიმატი და ჭარბი ნარჩენის წარმოქმნა, რათა არ დაირღვეს გარემოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები), ხოლო შეგროვებული ნარჩენი დროებით განთავსდება ნარჩენების გადამტვირთავ სადგურებზე. ამისათვის, მუნიციპალიტეტში გარდა დ. მესტიისა აუცილებელია, რომ არსებობდეს კიდევ ერთი დამატებითი სადგური. აღნიშნული მიზნით, 2021 წლის 25 ივნისს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა განკარგულება N17 „მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“. კერძოდ, ხაიშის ტერიტორიულ ერთეულში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3817.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 42.16. 41.171).

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ნარჩენის წყაროსთან სეპარირებულად შეგროვების სისტემის დანერგვა, რომლის შედეგად რეციკლირებადი ფრაქციები დასაწყობდება დროებითი განთავსების ობიექტზე (ააიპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის საქმიანი ეზო) სადაც, მოხდება მათი შემდგომი რეალიზაციისთვის მომზადება (აღნიშნული მიზნით შესაძენია ნარჩენის სორტირების ხაზი და დასაქუცმაცებელი მოწყობილობები).

### 1.6 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციები

მუნიციპალური ნარჩენების ინტეგრირებული, მდგრადი მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაციებია: მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები, ა(ა)იპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, საწარმოები რომლებიც მათი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე ვალდებული არიან დაიცვან შემდეგი ძირითადი პრინციპები: გარემოს დაცვის, ტექნიკური/საოპერაციო, ფინანსური, სოციალ-ეკონომიკური, ინსტიტუციონალური/ადმინისტრაციული, პოლიტიკური და საკანონმდებლო.

## ნაწილი - II

### 2.1 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები, მოცულობა და საპროგნოზო მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძირითადად დაბინძურებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენით. საყოფაცხოვრებო (შერეული) ნარჩენის ძირითადი ნაწილის 70 %-ის მართვას უზრუნველყოფს ააიპ მესტიის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური, რომლის ჯამური მოცულობა წელწადში მიახლოებით 10 000 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს და მოიცავს შემდეგ, ძირითად ფრაქციებს:

**- ორგანული ნარჩენი**

ორგანული ნარჩენის ფრაქციის გარკვეული ნაწილი მეორადად გამოიყენება საოჯახო მეურნეობებში, შინაური ცხოველების საკვებად. ხოლო, ხე-ტყის დამუშავების შედეგად წარმოებული ნარჩენის მეორადად გადამუშავება ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს თუმცა, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული იქნა ნაკრას ტერიტორიულ ერთეულში ხის ბრეკეტების დამამზადებელი საამქროს მშენებლობის მიზნით (მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 20/01 2021 წლის 09 ივნისი)ნებართვა.

2023 წელს, დაგეგმილია საწარმოო ორგანული ნარჩენის, მეორადად გამოყენების მიზნით გადამუშავების სამოქმედო გეგმის შემუშავება-დამტკიცება.

**- მეტალი**

მეტალის ნარჩენს მოსახლეობა აბარებს, როგორც შედარებით მაღალი ღირებულების მეორად ნედლეულს, ამიტომ მეტალის წილი არის მცირე.

**- მინა**

მინის წილი, არსებული მდგომარეობით არის შედარებით მცირე, რადგან მეორადად გამოიყენება მომხმარებლის მიერ. აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვნანია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების კომპონენტი.

**- ქაღალდი**

ქაღალდის ცალკე შეგროვება ამ ეტაპზე არ ხორციელდება თუმცა, 2023 წელს, პროცესის დაწყების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებულ, დაბა მესტიაში განთავსებულ სამსახურებში იგეგმება საოფისე ქაღალდის ნარჩენის მოგროვება, რომლის დაწესებულებებიდან გამოტანას და დროებით სამარაგოდ განთავსებას უზრუნველყოფს ააიპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ხოლო, მისი როგორც მეორადი ნედლეულის ბეჭდური გამომცემლობებისთვის ჩაბარებას და სანაცვლოდ სასურველი წიგნადი ფონდის მიღების პროცედურების უზრუნველყოფა დაევალება ააიპ მესტიის ბიბლიოთეკების გაერთიანებას.

**- სამშენებლო ნარჩენი**

დაბაში და მის უახლოეს მიმდებარე დასახლებებში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენი იყრება მუნიციპალიტეტის მიერ, აღნიშნული მიზნით დ. მესტიაში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ფართობით 6000 კვ.მ) თუმცა, აღნიშნული პოლიგონი ამჟამინდელი შევსების მაჩვენებლის გათვალისწინებით საკამრისი იქნება, მხოლოდ 2023-2024 წლების განმავლობაში. 2025 წლიდან, მუნიციპალიტეტს აღნიშნული მიზნით დასჭირდება ახალი ფართობის გამონახვა (მიახლოებითი ფართობით - 10 000 კვ.მ)

### **-სამედიცინო ნარჩენი**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება და 16 ამბულატორია, ხოლო სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მართვას ახორციელებს „საქართველოს სამედიცინო კოლდინგი“, რომელიც ასევე, უზრუნველყოფს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების მართვას.

ნარჩენის ქიმიური შემადგენლობის შესასწავლად სპეციფიური კვლევები არ ჩატარებულა და გეგმაში ასახული მაჩვენებელი ემყარება, მხოლოდ ადგილზე, დაბინძურებული ტერიტორიების ვიზუალურად შესწავლას.

მომდევნო 5 წლის განმავლობაში, წარმოქმნილი ნარჩენის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელად მიჩნეულია დაახლოებით 12%, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური აქტივობის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით.

### **2.2 საზოგადოებასთან ურთიერთობა და მონაწილეობის პროცესი**

მუნიციპალიტეტში, შესაბამისი სამსახურების მიერ პერიოდულად ტარდება ისეთი არეალების დასუფთავების აქციები, რომელთაც მუნიციპალური მომსახურება ვერ ფარავს. აღნიშნული აქციები, მიზნად ისახავს საზოგადოების ყველა სეგმენტის ჩართულობას გარემოსდაცვით აქტივობაში, რომლითა ფარგლებშიც დასუფთავებულ არეალებზე ხდება თემატური ბანერების განთავსება და თემატური საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება.

ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციების გასაჯაროებას პერიოდულად უზრუნველყოფს: ააიპ მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ფეისბუქ-გვერდი, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდები, ფეისბუქ-გვერდები, საინფორმაციო ელექტრონული წყარო „სვანეთინიუსი“, მერიისა და საკრებულოს ყოველთვიური გაზეთი. აღნიშნული, საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს შემდგომშიც ექნება ყოველწლიური ხასიათი, რომელმაც უნდა მოიცავს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული.



ნაწილი-III

3.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანები

ვინაიდან, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სისტემის დინამიურად განვითარების შესაძლებლობას უნდა გვაძლევდეს, ერთი კონკრეტული ამოცანის შედეგიდან უნდა გამომდინარეობდეს მომდევნო, რაც ნარჩენების მართვის კუთხით წლიდან-წლამდე მოგვცემს გეგმაზომიერი განვითარების შესაძლებლობას, როგორც ინფრასტრუქტურისა და სერვისის მიწოდების გაუმჯობესების თვალსაზრისით ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. შესაბამისად, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში შესასრულებელ ამოცანათა თანმიმდევრობას წლების მიხედვით, წარმოგიდგენთ თანდართული ცხრილით **N4**

ცხრილი N4

დასაგეგმი პერიოდი	ამოცანა N1	ამოცანა N2	ამოცანა N3	ამოცანა N4	ამოცანა N5	ამოცანა N6	ამოცანა N7	ამოცანა N8	ამოცანა N9	ამოცანა N10
2023 წელი	დონორის დახმარებით სატრანსფერო სადგურის მშენებლობის პროცესის დაწყება	დ. მესტიაში არსებული, მყარი ნარჩენების გადამტვირთი სადგურის გადატანის მიზნით, ალტერნატიული ტერიტორიის (საორიენტაციო ფართობით - 2000კვ.მ) მოძიება დაბის მიმდებარე არეალებში.	ეცერის და მულახის ტერიტორიულ ერთეულებში სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა.  (15 000 ლარი)	გაზაფხულზე და შემოდგომაზე დასუფთავების აქციების მოწყობა ტურისტულად დატვირთული ტერიტორიების და რეკრეაციული არეალების მიმდებარედ. აღნიშნული აქციის ფარგლებში მოქალაქეების ჩართვა, თემატური საინფორმაციო	დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება.	თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება  (2 000ლარი)	საწარმო, ორგანული ნარჩენის შეგროვების და გადამუშავების გეგმის შემუშავება-დამტკიცება  (სამუშაო ჯგუფი/უფლებამოსილი ორგანო)	შესაბამისი სამსახურის მიერ, მაღალი გამავლობის, საზედამხედველო ავტომობილის შექმნა  (70000 ლარი)	პლასტმასის ფრაქციისთვის, სასაწყობე მეტალის ცხაურის მოწყობა, 15 ლოკაციიდან მოგროვილი პლასტმასის ნარჩენისთვის.  (20000 ლარი)	დ. მესტიაში მუნიციპალური სამსახურებიდან მოგროვილი საოფისე ქაღალდის ნარჩენის მოგროვების მიზნით, შესაბამისი სასაწყობე სივრცის მოწყობა  (6 000 ლარი)

				ბანერების განთავსება და ბუკლეტების გავრცელება  (4 ერთ. ბანერი და 1000 ერთ. ბუკლეტი-3 000 ლარი)						
<b>2024 წელი</b>	დონორის დახმარებითი სატრანსფერო სადგურის მშენებლობის პროცესის დასრულება	შეგროვების არეალის გაფართოება მუნიციპალიტეტის მომსახურებით დაუფარავ, სპეცტექნიკისთვის ხელმისაწვდომ დასახლებებში.	სოფელ ადიშში სტიქიური ნაგავსაყრელის აღკვეთა.  (5000 ლარი)	შემოდგომაზე დასუფთავების აქციების მოწყობა ტურისტულად დატვირთული ტერიტორიების და რეკრეაციული არეალების მიმდებარედ. აღნიშნული აქციის ფარგლებში მოქალაქეების ჩართვა, თემატური საინფორმაციო ბანერების განთავსება და ბუკლეტების გავრცელება  (4 ერთ. ბანერი და 800ერთ. ბუკლეტი-2 600 ლარი)	დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება.	თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება  (2 500ლარი)			პლასტმასის ნარჩენის სარეცხი და დასაქუცმაცებელი მოწყობილების შექმნა  (30000 ლარი)	გადასაზიდი ნარჩენისთვის საწორის შექმნა  (60000 ლარი)
<b>2025 წელი</b>	სამშენებლო ნარჩენისთვის ტერიტორიის (საორიენტაციო ფართობით - 10000 კვ.მ) განსაზღვრა	შეგროვების არეალის გაფართოება მუნიციპალიტეტის მომსახურებით დაუფარავ, სპეცტექნიკისთვის ხელმისაწვდომ	ცხუმარის ტერიტორიულ ერთეულში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა.  (10 000 ლარი)	შემოდგომაზე დასუფთავების აქციების მოწყობა ტურისტულად დატვირთული ტერიტორიების და რეკრეაციული არეალების მიმდებარედ.	დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება.	თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება  (2 500ლარი)				

		დასახლებებში.		აღნიშნული აქციის ფარგლებში მოქალაქეების ჩართვა, თემატური საინფორმაციო ბანერების განთავსება და ბუკლეტების გავრცელება  (4 ერთ. ბანერი და 800 ერთ. ბუკლეტი - 2 600 ლარი)						
2026 წელი	დაბის ქუჩების სახვეტი, ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკური საშუალების შესყიდვა  (200 000 ლარი)	შეგროვების არეალის გაფართოება მუნიციპალიტეტის მომსახურებით დაუფარავ, სპეცტექნიკისთვის ხელმისაწვდომ დასახლებებში.	ხაიშის ტერიტორიული ერთეულის სოფელ შგედში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელის აღკვეთა  (6 500 ლარი)	შემოდგომაზე დასუფთავების აქციების მოწყობა ტურისტულად დატვირთული ტერიტორიების და რეკრეაციული არეალების მიმდებარედ. აღნიშნული აქციის ფარგლებში მოქალაქეების ჩართვა, თემატური საინფორმაციო ბანერების განთავსება და ბუკლეტების გავრცელება  (4 ერთ. ბანერი და 600ერთ. ბუკლეტი-2 200 ლარი)	დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება.	თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება  (2 500ლარი)				
2027 წელი		შეგროვების არეალის გაფართოება	იდლიანსა და სოფელ ვედში არსებული	შემოდგომაზე დასუფთავების აქციების მოწყობა	დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესის	თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის				

		მუნიციპალიტეტის მომსახურებით დაუფარავ, სპეცტექნიკისთვის ხელმისაწვდომ დასახლებებში.	სტიქიური წაგასაყრელის აღკვეთა  (10 000 ლარი)	ტურისტულად დატვირთული ტერიტორიების და რეკრეაციული არეალების მიმდებარედ. აღნიშნული აქციის ფარგლებში მოქალაქეების ჩართვა, თემატური საინფორმაციო ბანერების განთავსება და ბუკლეტების გავრცელება  (4 ერთ. ბანერი და 600 ერთ. ბუკლეტი-2 200 ლარი)	ზის პროცესის გაუმჯობესება.	ამაღლება  (2 500 ლარი)				
--	--	--	--	---	----------------------------	------------------------------	--	--	--	--

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი:

/კ. ჟორჯოლიანი/

